ღია - სამოდელო გაკვეთილის გეგმა

თარიღი	24.02	
საგანი	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	
პედაგოგი	სოფო ჯანგულაშვილი	
გაკვეთილის თემა	ქართველი მხატვრები	
სწავლების საფეხური/კლასი	დაწყებითი - 4 კლასი	
მოსწავლეთა პროფილი	14	
კლასის ორგანიზება	ინდივიდუალური, წყვილებში	
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლეს გავუღვივოთ ინტერესი ქართული ხელოვნების მიმართ. გავაცნოთ ქართველი მხატვრების შალვა ქიქოძის და ქეთევან მაღალაშვილის ბიოგრაფია და შემოქმედების ნიმუშები, განვუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოების ამოცნობის და დიფერენცირების უნარი, მათი ავტორებისთვის მიკუთვნების უნარი	
შესაბამისობა სტანდარტთან	ს.გ.5.7 საუბრობს ნაწარმოების შინაარსზე ს.გ.4.12 ადარებს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ხელოვნების ნიმუშებს	
დრო	45 წუთი	
გაკვეთილის მნიშვნელობა/აქტუალობა	ქართული ხელოვნების და ხელოვნების მოღვაწეების შემოქმედების პოპულარიზაცია მომავალ თაობაში	
წინარე ცოდნა	ფლობენ ინფორმაციას სხვა ქართველ მხატვართა ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ(ნ. ფიროსმანი, დ. კაკაბაძე, ე.ახვლედიანი)	
შეფასება	განმავითარებელი შეფასება კომენტარებით და სტიკერებით	
სწავლების სტრატეგიები/აქტივობები	1. გონებრივი იერიში 2.აქტიური ლექცია 3.კითხვა-პასუხი 4.მუშაობა წყვილებში 5.პრეზენტაცია	
უნარები	ხელოვნების ნაწარმოების აღქმის, აღწერის, მათი დიფერენცირების უნარი, მსჯელობის, აზრის დასაბუთების უნარი	

რესურსი	სახელმძღვანელო 4 კლასი, ხელოვნება(ა.კლდიაშვილი, ნ.ღაღანიძე) ილუსტრაციები შ. ქიქოძის, ქ.მაღალაშვილის ნახატების დაფა, ცარცი, მაგნიტური დაფა. ელექტრონული რესურსი: http://burusi.wordpress.com	
გაკვეთილის მსვლელობა	● კლასის ორგანიზება - 2 წუთი ● პრეზენტაცია წინა გაკვეთილის და ნამუშევრის - 7 წუთი ● ***1ფაზა: გამოწვევა -*** გონებრივი იერიში - 5 წუთი (გავიხსენოთ, რომელი ქართველი მხატვრების ბიოგრაფიას და შემოქმედებას ვიცნობთ? სადაური იყო ე. ახვლედიანი?დ.კაკაბაძე? სად იყვნენ ისინი წასულები სასწავლებლად?რა ენატრებოდათ მათ პარიზში ყოფნისას?რას ხატავდნენ იქ ყოფნის დროს? რატომ იყენებდა დ. კაკაბაძე ფერად-ფერად ოთხკუთხედებს პეიზაჟების ხატვის დროს?) ● ***II ფაზა: წვდომა: -*** 20-25 წუთი ○ აქტიური ლექცია შ. ქიქოძის შესახებ - 2-3 წუთი (დღეს გავეცნობით ორი ახალი ქართველი მხატვრის ბიოგრაფიას და შემოქმედებას. ესენი არიან შალვა ქიქოძე და ქეთევან მაღალაშვილი) ○ ილუსტრაციების აღწერა და კითხვებზე პასუხის გაცემა - 5წთ (აღწერეთ 1 და 2 ნამუშევარი, თქვენი აზრით რომელი ქვეყანაა ასახული თითოეულ მათგანზე.დაასაბუთე შენი მოსაზრება. აღწერეთ მესამე სურათი) ○ ტექსტის პირველი ნაწილის გაცნობა - 2-3 წუთი ○ ინფორმაციის მიწოდება ქ. მაღალაშვილის შესახებ - 1 წთ ○ ილუსტრაციების აღწერა და კითხვებზე პასუხის გაცემა - 5წთ (ვინ არიან გამოსახულნი ქ. მაღალაშვილის ნამუშევრებზე? რომელ ჟანრს მიეკუთვნება ეს ნახატები? დაახასიათეთ პორტრეტებზე გამოსახული ადამიანები) ○ ტექსტის მეორე ნაწილის გაცნობა 2 წუთი ○ წყვილებში მუშაობა - 3 წუთი (დავურიგებ შ. ქიქოძის და ქ. მაღალაშვილის, ე. ახვლედიანის და დ. კაკაბაძის ნამუშევრებს და ამოიცნობენ მათ, დაახარისხებენ ავტორების შესაბამისად) ○ პრეზენტაცია - 3 წუთი (ისაუბრებენ რატომ მიაკუთვნებენ ნამუშევრებს ამა თუ იმ მხატვარს) ● ***III ფაზა: რეფლექსია: -*** შემაჯამებელი კითხვები - 5 წთ (რომელ მხატვრებს გავეცანით დღეს? რომელ საუკუნეშ მოღვაწეობდნენ ისინი? სადაური იყო შალვა ქიქოძე? როდის დაიწყო მან ხატვა? ვინ გვაწვდის ინფორმაციას ამის შესახებ? რა დაემართა მას ბავშვობაში?სადაური იყო ქეთევან მაღალაშვილი? რომელი ჟანრის ნახატებს ხატავდა ის ძირითადად? ვის პორტრეტებს ასრულებდა ის? რომელი ჟანრის ნახატებს ხატავდა შალვა ქიქოძე? სად იყვნენ ისინი წასულები?სად და როდის გარდაიცვალა შალვა ქიქოძე? მათ გარდა კიდევ რომელი მხატვრები იყვნენ წასულები პარიზში? ● ***საშინაო დავალების მიცემა:*** 2 წუთი	

	(წერილობით დაახასიათეთ შალვა ქიქოძე და ქეთევან მაღალაშვილი მათი ავტოპორტრეტების მიხედვით, როგორი ადამიანები იყვნენ, რას გკარნახობთ ეს პორტრეტები, როგორი განწყობის და ხასიათის მქონეები იყვნენ, რას გრძნობენ და განიცდიან, შეძლებისდაგვარად ჩამოაყალიბეთ) ⚫ ***შეფასება:*** 2 წუთი	
უკუკავშირი	თვითშეფასება და შეფასების ჯგუფის წევრების და კოლეგების უკუკავშირი.	

საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	ძალიან კარგი	კარგი	საშუალო	ცუდი
აქტიური მონაწილეობა	ყოველთვის მონაწილეობს და სწორად პასუხობს დასმულ შეკითხვებს.	ყოველთვის მონაწილეობს და პასუხობს დასმულ შეკითხვებს.	ხშირად მონაწილეობს და ზოგჯერ პასუხობს დასმულ შეკითხვებს	იშვიათად ან საერთოდ არ მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში.იშვიათად პასუხობს შეკითხვებს.
გამართული და სწორი მეტყველება	გამართულად მეტყველებს, აქვს მდიდარი ლექსიკა და შემოქმედებითად იყენებს ენობრივ–გამომსახველობით საშუალებებს	გამართულად მეტყველებს და იყენებს მართებულ სინტაქსურ და გრამატიკულ კონსტრუქციებს	იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს. მეტ–ნაკლებად გამართულად საუბრობს	არ იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს
საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოდგენა	ყოველთვის დამაჯერებლად და არგუმენტირებულად წარმოადგენს თავის მოსაზრებას	თითქმის ყოველთვის ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას	ხშირად ახერხებს საკუთარი აზრის დასაბუთებას	უჭირს გამართულად საუბარი, ხშირად ვერ

				ასაბუთებს საკუთარ აზრს
სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება	უსმენს სხვებს და საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს მოსმენილზე დაყრდნობით. კორექტულია და ამჟღავნებს სხვისი აზრის მიმართ პატივისცემას	უსმენს სხვებს და საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს მოსმენილზე დაყრდნობით.	უსმენს სხვებს და აცდის საუბრის დამთავრებას	არ უსმენს სხვებს და არ აცდის საუბრის დამთავრებას

შეფასების კრიტერიუმი				
თანამშრომლობა	კარგად თანამშრომლობს მეწყვილესთან,იზიარებს მის აზრს, აცდის აზრის გამოთქმას, უსმენს და თავადაც უზიზრებს საკუთარ აზრს	თანამშრომლობს მეწყვილესთან,		